საქართველო

ქარელის მუნიციპალიტეტი

ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **შიდა გზების შეკეთების** სამუშაოების ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია

ქარელი
2012წ

სარჩევი

1. საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნები ---------- 3

2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი 6

3. დამატებითი ინფორმაცია..... 11

4. დანართი N 1 12

5. დანართი N 2 13

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის

1. ინფორმაცია ტენდერში მონაწილეთათვის:
სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ", "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დებულებისა და "სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის" შესაბაამისად. იხ. http://procurement.gov.ge/

1. საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნები

1.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრედენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

1.1.1. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:
ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

1.1.2. ფიზიკური პირებისათვის:
ა) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი

1.1.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:
ა) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს
რეკვიზიტები
სატენდერო წინადადების ფასი
სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა დანართი N1–ის მიხედვით,
ფასების ცხრილი (ხარჯთაღრიცხვა) დანართი N2-ის მიხედვით.
ბ) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია გზების შეკეთების სამუშაოების შესრულების მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილების შესახებ რაზეც სისტემაში ატვირთული უნდა იყოს შესაბამისი ხელშეკრულე(ბე)ბის ასლები.
გ) სამუშაოების შესრულების გეგმა გრაფიკი.

1.2. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის'' მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში – საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემული უნდა იყოს ამ წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არა უგვიანეს ოცდაათი დღისა

1.3 ამ პუნქტის 1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, წარმოდგენილი უნდა იყოს კანონის შესაბამისად, არარეზიდენტმა პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემ(ებ)ის დამადასტურებელ დოკუმენტ(ებ)ს, თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

1.4. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი ამ პუნქტის 1.1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკვალიფიკაციო მონაცემები ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად.

1.5 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასის წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ ლარებში

1.6. ანგარიშსწორების პირობები:
1.6.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით ლარში.
1.6.2. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოების დასრულების შემდეგ მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, არაუგვიანეს 30 კალენდარული დღისა.
1.6.3. დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორება ავანსი 30%-ის ოდენობით შესაბამისი საბანკო ან სადაზღვეო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე.
1.6.4. დაფინანსების წყაროა ადგილობრივი ბიუჯეტი.

1.8. ქ. ქარელში ამირეჯიბის, ლეონიძის, გოგებაშვილის, მარჯანიშვილის ჩიხის, აღმაშენებლის, სააკაძის, ნონეშვილის, რუსთაველის, 26 მაისის და შიო მღვიმელის ქუჩების და სოფელ რუისში (წინაუბანში) გზების შეკეთების სამუშაოები. იხილეთ ტექნიკური დოკუმენტაცია
(დანართი დეფექტური აქტის მიხედვით)

1.9 მიწოდების პირობები და ვადები:
1.9.1 სამუშაოები უნდა დასრულდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 30 კალენდარულ დღეში.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. ქარელი „-----„ „---------- 2012 წელი

ვხელმძღვანელობთ, რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე ერთის მხრივ „ქარელის მუნიციპალიტეტის საკრებულო“ (შემდგომში – შემსყიდველი), საკრებულოს თავმჯდომარის პაატა ღვინიაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ----------შემდგომში – მიმწოდებელი) სახით, იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა გზების შეკეთების სამუშაოების მომსახურების შესყიდვაზე; (CPV45200000) რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე--------() ლარი (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“)

1. ხელშეკრულების საგანი

ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა გზების შეკეთების სამუშაოების შესყიდვა

2. შესყიდვის ობიექტი

ქ. ქარელიში ამირეჯიბის, ლეონიძის, გოგებაშვილის, მარჯანიშვილის ჩიხის, აღმაშენებლის, სააკაძის, ნონეშვილის, რუსთაველის, 26 მაისის და შიო მღვიმელის ქუჩების და სოფელ რუისში (წინაუბანში) გზების შეკეთების სამუშაოები
(დანართი დეფექტური აქტის მიხედვით)

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს () ლარს.

4. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, ერთი წლის მანძილზე გამოვლენილ დეფექტს და ნაკლს აღმოფხვრის საკუთარი სახსრებით, და შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები

5.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2012 წლის ----------.

5.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდებამიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის წარმოდგენის შემდეგ.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ვალუტით (ლარებში).

7.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების მეშვეობით.

7.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდებისა და წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. მუხლში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.

7.4 დასაშვებია წინასწარი ანგარიშსწორება ავანსი 30% ოდენობით, შესაბამისი საბანკო გარანტიის საფუძველზე.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებილი პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება;

8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.4 მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

9.3. ხელშეკრულების გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

9.4 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

9.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პასუხისმგებლობის გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

9.6 შესყიდვის განხორციელებისას პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვროს მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებელი ნაწილის 120%-ით.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11.3. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას დამკვეთის მხრიდან განახორციელებს ქარელის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის სამსახური.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილ ნებისმიერ ნაკლის ან დეფექტისშესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებულო ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან, ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი: მიმწოდებელი:

4. დამატებითი ინფორმაცია:

3.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში. ქ ქარეილი ნინოშვილის ქ№3. საკონტაქტო პირი ხათუნა ირემაძე, ტელ: 599703846

დანართი 1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში
შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყებიდან არა ნაკლებ 30 კალენდარული დღე.

დანართი #2

ფასებისცხრილი
(ხარჯთაღრიცხვა)

	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი
1					
2					
N					
	სულ ჯამი				
	ზედნადები ხარჯი%				
	სულ ჯამი				
	გეგმიური დაროვება %				
	სულ ჯამი				

შენიშვნა: სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით.

პრეტენდენტის დასახელება ----------

ხელის მოწერა ----------